

საქართველოს კანონი  
საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და  
დამატებების შეტანის შესახებ

მუხლი 1

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში („საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, №41(48), 1999 წელი, მუხ. 209) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-40 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „კ“ ქვეპუნქტი:  
„კ) ქონების ჩამორთმევა.“.

2. 41-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
„2. ჯარიმა და თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა შეიძლება დაინიშნოს როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად. ქონების ჩამორთმევა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ დამატებითი სასჯელის სახით.“.

3. ამოღებულ იქნას 41-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

4. 52-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 52. ქონების ჩამორთმევა

1. ქონების ჩამორთმევა ნიშნავს დანაშაულის საგნის ან/და საშუალების, დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის ან/და დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევას.

2. დანაშაულის საგნის ან/და საშუალების ან დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის ჩამორთმევა ნიშნავს მსჯავრდებულისათვის მის საკუთრებაში ან კანონიერ მფლობელობაში არსებული, განზრახი დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული ან ამისათვის რაიმე სახით გამიზნული ნივთის სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევას. დანაშაულის საგნის ან/და საშუალების ან დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის ჩამორთმევა სასამართლოს მიერ ინიშნება ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა განზრახი დანაშაულისათვის იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა დანაშაულის საგანი ან/და საშუალება ან დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთი და მათი ჩამორთმევა საჭიროა სახელმწიფო და საზოგადოებრივი აუცილებლობიდან ან ცალკეულ პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე ანდა ახალი დანაშაულის თავიდან ასაცილებლად.

3. დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ჩამორთმევა ნიშნავს მსჯავრდებულისათვის დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონების (ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, ასევე იურდიული აქტები ან ლოკუმენტები, რომლებიც იძლევიან უფლებას ქონებაზე), აგრეთვე ამ ქონებიდან მიღებული ნებისმიერი ფორმის შემოსავლების ან მათი ღირებულების ექვივალენტური ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევას. დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ჩამორთმევა სასამართლოს მიერ ინიშნება ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა განზრახვი დანაშაულისათვის იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცდება, რომ ეს ქონება დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ ქონებას წარმოადგენს.“.

5. 72-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ის ვინც სასჯელს იხდის გამასწორებელი სამუშაოს, სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვის, თავისუფლების შეზღუდვის, ტუსალობის ან თავისუფლების აღკვეთის სახით, შეიძლება პირობით ვადაძღვე გათავისუფლდეს, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ მისი გამოსწორებისათვის საჭირო აღარ არის დანიშნული სასჯელის მთლიანად მოხდა. ამასთან, იგი შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლდეს დამატებით სასჯელის მოხდისაგან (გარდა ქონების ჩამორთმევისა).“.

6. 73-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სასამართლოს შეუძლია ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულს სასჯელის მოხდის დროს მისი ყოფაქცევის გათვალისწინებით შეუცვალოს სასჯელის მოუხდელი ნაწილი უფრო მსუბუქი სახის სასჯელით. ამასთან, იგი შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლდეს დამატებითი სასჯელის მოხდისაგან (გარდა ქონების ჩამორთმევისა).“.

7. 74-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-ნაწილი:

„6. სასჯელისაგან გათავისუფლების ამ მუხლით დადგენილი საფუძვლები არ ვრცელდება ამ კოდექსის მე-40 მუხლის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სასჯელზე.“.

8. 194-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 194. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება)